**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი** 1877—1891


## „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**დ. ზ. ბაქრაძის თხზულება**

## ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—1)

---

## ახალი ამბავი

*** მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე გუშინ ტფილისში ჩამობრძანდა შიო მღვიმელის მონასტრიდგან.

*** მომავალის ივლისის 1-ლ რიცხვიდამ ახალი შტატები უნდა შემოიღონ ჩვენის ქალაქის სამმართველოში. ამისათვის ამ დღეებში ქალაქის გამგეობა, ამ ახალის შტატების მიხედვით, შეუდგება მოხელეთა დანიშვნას სხვა-და-სხვა თანამდებობაზე.

*** მომავალს პარასკევს, 21 ივნისს, საბჭოს უკანასკნელი კრება ექნება: ხმოსნები შემოდგომამდე დათხოვნილ იქნებიან საზაფხულოდ.

*** მოგვყავს სია იმ ქართველ ქალებისა, რომელთაც წელს სწავლა დაამთავრეს ტფილისის დედათა გიმნაზიაში და მიიღეს მასწავლებლობის მოწმობა; ქართველნი არიან სულ ექვსნი: ქ. ა—ს ასული ჭანტურაია, დ. ს. ასული გაბაშვილი, ა. ი. ასული თულაშვილი, ელის. ცხოვრებაშვილი, ო. ა. ასული ბასუტაშვილი და მ. გ. ასული ჯავახიშვილი.

მეშვიდე კლასში დაასრულა სწავლა 76 ქალმა. ამათში ქართველი კიდევ ექვსია: ბარბარე ელიაშვილი, დარია საყვარელიძე, სოფიო ბარნოვი, ალექსანდრა გამრეკელი, ეკატ. სულხანიშვილი და თამარა ხაინდრავა.

*** გამოჩენილი კომპოზიტორი ანტონ გრიგოლის ძე რუბინშტეინი ამ თთვის 18 ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდამ თავის შვილით იაკობითურთ. ბ-ნი რუბენშტეინი ამ დღეებში ბორჯომს გაემგზავრება.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი ამ თთვის 18 დიდს ნიაღვარს გორისა და ქარელის სადგურებს შუა რამდენსამე ალაგას წაუხდენია, რადგანაც დიდი, კოკი-პირული წვიმა მოსულა, მთებიდამ მოვარდნილი ნიაღვარი ხიდებს ქვეშ ვერ გატეულა და ზედ ლიანდაგზე გადადიოდა თურმე. რკინის გზის ლიანდაგი რამდენსამე ალაგას ქვებით და ქვიშით წაულეკია, რის გამოც საქონლის მატარებლების მიმოსვლაც შეჩერებულა თითქმის ორ საათამდე, ვიდრე ლიანდაგს გაასუფთავებდნენ. საფოსტო და სახალხო მატარებელი, № 1, მომავალი ბათუმიდამ ტფილისში, გაჩერებული ყოფილა ნახევარ საათი.

*** რადგანაც სამხედრო საქართველოს გზაზე დიდი წვიმა ყოფილა ამ თთვის 18 და ნიაღვარს რამდენსამე ალაგას გაუფუჭებია გზა, ამიტომ გუშინ რუსეთიდგან ფოსტა არ მოვიდა. გუშინვე დეპეშით იუწყებოდნენ ამ გზის სხვა-და-სხვა სადგურიდგან, რომ გზა შეაკეთეს და ეტლების, ფოსტის და ფურგუნების მიმოსვლა უკვე დაიწყოო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ხაშურის ახლოს გუშინ, ამ თთვის 18, საღამოს 10 საათზე საქონლის მატარებელს ხიდზე მოუსწვრია ორის მიმავალ აფიცრისთვის, რომელნიც თურმე რკინის გზის ლიანდაგზე დასეირობდნენ ჯარის კაცითურთ, დასჯახებია და ორივენი ხიდიდამ ძირს გადაუყრია, ჯარის-კაცი-კი თითონვე უვნებლად ადრევე გადმომხტარა ხიდიდამ ხევში. ამ აფიცერთაგან ერთს ხელი ამოჰვარდნია და მეორეს ძალიან დაშავებია თავი.

*** გუშინ, ამ თთვის 18, ნიკოლოზის ქუჩაზე, საკუთარს სახლში ვილაცა საიფოვს დანა დაუკრავს თავისის დისთვის ნატალია აბაჯოვისთვის და თავი გაუჩეხია. საბრალო საიფოვი თურმე რამდენიმე წელიწადი სულით ავადმყოფობს და საავადმყოფოში-კი ვერ მიუღებინებიათ უალაგობისა გამო. ეს ის საიფოვია, ამას წინად რომ წასულიყო ავჭალაში, სადაც დახვევიყვნენ ცხვრის ძაღლები და ფეხები გამოეღრღნათ.

*** გორი: განთქმულნი ავაზაკნი ტატე ჯიოშვილი, სანდრო ხუბულური და ალექსი ხასიშვილი 18 ივნისს, ღამე, თავს დაეცნენ სოფელს ზღუდერში მცხოვრებს აზნაურს მიხეილ მიქაძეს იმ დროს, როცა მთელს სახლობას ეძინა. მივიდნენ თუ არა კარზედ, მასპინძელი გარედ გამოიხმეს და სწორედ იმ დროს, როცა საბრალო კარზედ მოადგა, იგრიალა ბერდანის თოფებმა და მშვენიერი 27 წლის ვაჟ-კაცი უსულოდ დავარდა იქვე. ავაზაკებს თურმე ჯავრი ჰქონიათ მიქაძისა და ამ ნაირად გადაუხადეს.

მიქაძეს წვრილი ცოლ-შვილი დარჩაო, იწერება კორესპონდენტი. ავაზაკები ბოროტმოქმედების შემდეგ იქვე მიიმალნენო.

*** ფოთი. 16 ამ თთვეს აქ ქართულ სცენის მოყვარეთ „საზოგადო კრების“ დარბაზში წარმოდგენა გამართეს ბ-ნ. ი. მეუნარგიას თაოსნობით. წარმოადგინეს „მზის დაბნელება საქართველოში“ ფოთის სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა, დამსწრეთაც ძალიან ისიამოვნეს. სამწუხარო ის არის, რომ ვისგანაც ბევრს დახმარებას და შემწეობას მოველოდდით, იმათგანი ნაკლებ იყვნენ მონაწილენი ამ კეთილს საქმეში. ამის მიზეზად ორს საგანს ვასახელებ: ერთი ისაა, რომ აქ ყოველს კვირაში ორ ჯერ იმართება წარმოდგენა, ჟინაზედ ორად გაყოფილ დასისაგან: ერთი დასი „კლუბში“ მოღვაწეობს და მეორე „კრუჟოკში“; აფიშაში აცხადებენ წარმოდგენას ხან სასწავლებლის სასარგებლოდ, ხან ღარიბთ მოსწავლეთა სასარგებლოდ, ხან „კლუბისა“ და „კრუჟოკის“ სასარგებლოდ, ხან კიდეც უსახელოდაც. ამდენი წარმოდგენის ფული რაში იხარჯება, არც ერთი არ ვიცით და წარმოდგენის გამგეთაგანი ანგარიშს საზოგადოებას არ აძლევს გაზეთის შემწეობით. მეორე მიზეზი საზოგადოების გულ-გრილობისა ის არის, რომ ჯერ-ჯერობით საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი (შეგნებული) იქამდე ვერ მისულა, რომ წიგნთ-საცავის დაარსების საჭიროება იგრძნოს. ამაში ცხადად გვარწმუნებენ ისინი, რომელნიც ხორციელი საზდოის მიღებაზე ხარჯავენ თითქმის მთელს თავისს ქონებას, მაშინ როდესაც სულიერი საზრდოისათვის არ ზრუნავენ და ძალიან გულ-გრილად ეკიდებიან.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ბ-ნ ი. მეუნარგიას მეთაურობით და კეთილ საქმის დამხმარე კაცთ შემწეობით ფოთში მალე გვექნება წიგნთ-საცავი.

დღეს წიგნ-საცავს აქვს შემოწირული 135 ცალი სხვა და სხვა ქართული წიგნი.

წარმოდგენის შემოსავალი იყო 80 მანათამდე, ხარჯი 31 მან. დარბაზი უსასყიდლოდ დაუთმეს.

*** გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი გვქონდა თელავიდამ მოწერილი ამბავი გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ში, რომ დაიწვა სამაზრო სამართველოს სახლი და რაც-კი რამ მოიპოვებოდა შიგაო. ეხლა ჩვენი კორესპოდენტი გვწერს შემდეგს:

ალი ამოვარდა თავდა-პირველად შენობის მეორე სართულიდამ, სადაც მაზრის უფროსი თავ. ჩოლაყაშვილი დგას და მოედო მთელს შენობას. ცოტა ხნის განმავლობაში მთელი ქალაქი მოაწყდა ცეცხლს და მერე „დრუჟინის“ ჯარის კაცებიც მოვიდნენ, მაგრამ დახმარება ვერაფერი აღმოუჩინეს, რადგან შეუძლებელი იყო მძვინვარე ცეცხლის გაქრობა უწყლოდ და უმანქანოდ, რომელსაც ჩვენი ქალაქი მოკლებულია.

დაიწვა, მაგრამ ეგრე უწყალოდ დაწვაც არ გაგონილა: იმოდენა ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებდა გაშმაგებულს ცეცხლს და ვერ-კი ჰშველოდა. ცოტაოდენის საქმეების მეტი ვერა გადაარჩინეს-რა

ცეცხლის გაჩენის მიზეზს ამბობენ შემდეგს: მაზრის უფროსი თავ. ნ. ზ-ძე ჩოლაყაშვილი მიწვეული იყო ტფილილისს სამსახურის საქმეების გამო და მოსამსახურენი ოთახებს ასუფთავებდნენ; იატაკი ნავთით გაეწმენდათ და ამასთანავე, ოთახებში ბაღლინჯო შეემჩნიათ და იმის გასაწყვეტათ დახურულს ოთახში, პატარა „ჟესტის“ ნაჭერზედ აბოლებული გოგირდი გაეშვათ, რომ ამის ბოლით ოთახები გაეწმინდათ ბაღლინჯოებისაგან. აი, სწორედ გაღნობის შემდეგ გოგირდი ნავთით გაწმენდილს იატაკზე მოფენილიყო და ცეცხლი გაღვივებულიყო. დაკეტილს ოთახში ბოლი დატრიალდა და ავეჯეულობაც ნელ-ნელა იწვოდა; მერე მოაღწია ფანჯრებამდისაც და შემდეგ ალი გარედაც გამოვარდა.—მასამსახურეთაგანს ერთს სამზარეულოში სძინებია თურმე და მეორეს აივანზე; გაუგია თუ არა ცეცხლის გაჩენა, ერთის შესაზარის კივილით გამოვარდნილა ბოლიდამ შიშველ-ტიტველი.

შენობა დაიწვა სულ თავიდამ ბოლომდე;—ხალხი იმდენს ეცადა, რომ სამზარეულო და ამის ახლო-მახლო სახლები გადარჩინა.

დიდი ზარალი მიეცა მაზრის უფროსს თავ. ჩოლაყაშვილს. იშვიათია იმისთანა მოწყობილობა, როგორც თავ. ჩოლაყაშვილის სახლში იყო. იმის ოთახის მოწყობილობა „მუზეუმს“ მოაგონებდა მნახველს: სულ ძველის ქართულის ნაშთითა, თოფ-იარაღ-აბჯრითა და სხვა სამარის იარაღებით იყო მორთული; ერთის სიტყვით ნამდვილი ძველი ქართული ოჯახი იყო და იმის სიმშვენიერე ძნელია გადმოქცეთ.—ჰქონდა აგრეთვე წიგნთსაცავი ქართულის ძველის წიგნებისა და ყველა ეს სიმშვენიერე და, რაც-კი რამ ებადა სახლში, ისე დაიწვა, რომ ერთი მანათის საღირალიც-კი ვერ გადაარჩინეს, თუმცა ძალიან ეცადა ხალხი.

სახლში მოსამსახურების მეტი არავინ ყოფილა. უფროსი თავის ცოლშვილით ტფილისში იყო. ზარალი მაზრის უფროსს მიეცა 15 ათას მანათამდე, გარდა სხვა-და-სხვა. მომგებიან ქაღალდებისა და ვექსილობლიგაციებისა,

*** 14 ივნისს ვასილ ბებუთოვისაგან მოპარულის 6 ათასის მანეთის ნაწილი თეულობისა ნახევარი იპოვნეს ავლაბარში მებაღეს ალავიძესთან და ნახევარიც დუშეთში ქიტესა ტაგიშვილთან. დამნაშავენი შეიპყრეს.

*** 18 ივნისს ნავთლუღში იპოვნეს მტკვარში დამრჩვალის ვიღაც თათრის გვამი.

*** ამავე დღეს მიხეილის ქუჩაზე იპოვნეს რვა დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი პეტრე მოსკვინმა წაიყვანა აღსაზრდელად.

---

**არჩილური, შვიდ-თავი**

**ბ.**

† ბევრის ცოდნის პატრონია, ბევრსა სწერს და ბევრსაც არკვევს.
არ დაარჩენს შეუტყობლად, ვინ სად რას სწერს, სად ვის აწვევს;
ქრონიკონსა წვლილად სინჯავს, უტყუელსა თვისად არჩევს,
რაც გაუვა, ნელა-ნელა მატიანის კითხვას გვაჩვევს.
არ იჩქარის აზრის დასკვნას, საბუთებს ჰკრებს ნათელს, ცხადებს,
ძირს მიაგნებს, წვერს შეიტყობს და მაშინ-კი გააცხადებს;
ერთის მოსმით არ ათავებს, განსჯა-განცდას გააკვლადებს,
სარწმუნოა, სამშობლოის ისტორიას დიდს ღვაწლს დასდებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დიდი-თონეთი**, შური და მტრობა მეზობლებისა ერთმანეთში თითქმის საზოგადო სენია ქართველებისა, მაგრამ არა მგონია, რომ ეს სენი ისე იყოს სადმე გავრცელებული, როგორც ამ უკანასკნელს დროში ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა. ამის მიზეზად მიგვაჩნია ჩვენის მამულების გამიჯვნა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მამულების გაუმიჯვნელობა და ის არევ-დარევა, რომლის გამოც არავინ იცის, ვის რა აქვს და ვის რა არა.

პირველად ვისაც მეტი შეძლება ჰქონდა, იმას მამულებიც მეტი ეჭირა და ყოველნაირს ხარჯსაც მეტს იხდიდა. ზოგს ეგონა: შეძლება მამულების ქონებაზეა დამოკიდებული და სხვა არაფერზეო. ამისთანა კაცებმა არჩიეს ხალხის საკეთილდღეოდ, მამულები ყველა აქაურს მეკომურს თანასწორად მისცემოდა და ხარჯიც ყველას თანასწორად გაეწია. დაადგინეს ამაზედ განაჩენი, მოაწერინეს ძალით, თუ მოტყუებით ყველა აქაურს ხელი და გაჰგზავნეს გუბერნატორთან დასამტკიცებლად. გუბერნატორმაც დაამტკიცა საზოგადოების სურვილი და ნება მისცა საზოგადოებას, ამოერჩია 12 პატიოსანი კაცი, რომელთაც უნდა გაეყოთ მიწები ხალხის სურვილისამებრ. საზოგადოებამ ამოირჩია 12 კაცი, რომელთაც აიღეს თოკები და დაუწყეს მამულებს ზომვა. გაუყვეს ყველას. მაგრამ ჩქარა გამოაშკარავდა, რომ მამულების კომლზედ თანასწორად გაყოფა ანუ გამიჯნვა ბევრს სიკეთეს არას შეჰქენდა საზოგადოებას. მართლაცა და, თუ წარმოვიდგენთ, რომ, როგორც ყველგან, ჩვენს საზოგადოებაშიაც ზოგი კომლი დიდია და ზოგი პატარა, ზოგს ოჯახში 65-ამდე სულია და ზოგში სამიც არ მოიპოვება, ადვილად მივხვდებით, რა შედეგიც მოჰყვებოდა მამულების თანასწორად გაყოფასა. მამულები რომ კომლზედ თანასწორად გაიყოს, როგორც გაჰყვეს ჩვენში, ხომ იმ კომლს მეტი მოუვა მამული და ვერ შეიმუშავებს იმოდენა მამულს, რომელშიაც ცოტა ხელი ტრიალებს და იმ კომლს კიდევ არ ეყოფა, რომელშიაც მეტი ხელია და მაშასადამე, მჭამელიც მეტი იქნება. მარტო ერთის წლის გამოცდილებამ ადვილად დაამტკიცა, რომ მამულების კომლზედ თანასწორად გაყოფამ ვნების მეტი არა მოიტანა-რა. ამიტომ საზოგადოებამ არჩია, მეორე განაჩენი დაედგინა მასზედ, რომ მამულების კომლზედ თანასწორად გაყოფამ ბევრი ვნება მოუტანა საზოგადოებას და ამისთვის სამჯობინაროა, ეხლა მამულები ხელმეორედ ლიტრა-ჩარექზედ (ოჯახის წევრთა რაოდენობაზედ) გაიყოსო. წარუდგინეს ეს განაჩენიც დასამტკიცებლად გუბერნატორს. გუბერნატორმა მეორედ დაამტკიცა, გაემიჯნათ მამულები ხალხის სურვილისამებრ. ამორჩეულთ (12-მა კაცმა) ხელმეორედ აიღეს თოკები მამულების საზომავად და გასამიჯნავად, მაგრამ ეხლა სრულიად სხვაფრივ მოიქცნენ. წინად ჯერ თანასწორად ანაწილებდნენ მამულებს და შემდეგ წილის ყრით, ვისაც სად ერგებოდა, უნდა დაკმაყოფილებულიყო თავისს ხვედრს მამულს, რადგანაც იმ მამულს, მისისავე სიტყვით რომ ვსთქვათ, წილად ბედი ახვედრებდა. ეხლა-კი ამორჩეულთ იცოდნენ, ვის რამდენს უზომავდნენ მამულებსა და ადვილად შეიძლებოდა მიდგომით გაემიჯნათ მამულები. ასეც მოხდა: ვინც მამულების მზომავებს რითიმე პატივსა სცემდა, ან როგორმე ნათესავად მოჰხვდებოდა, იმას კარგს ალაგსაც არგუნებდნენ მამულს და გაზომის დროს თოკებსაც კარგად დაჰჭიმავდნენ, რომ მამულები პატარა ბლომადა ჰრგებოდათ. იმათ-კი ხრიოკს ადგილებსა და შედარებით უფრო ნაკლებსაც უზომავდნენ, ვინც არც ნათესავები იყვნენ მათი და ვერც იმათს პატივის-ცემას შეიძლებდნენ სიღარიბისა და ხელ-მოკლეობისა გამო. ამ შემთხვევაში უფრო მეტად იჩაგრებოდნენ ისევ ის გლეხები, რომლებიც სიცოტავისა გამო, წინადვე იყვნენ დაჩაგრულები და რომლების გულისთვისაც შეუდგნენ მამულების ხელახლად გარიგების საქმეს. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ მარტო წინადვე ბედისგან დაჩაგრულები დაეჩაგრათ, რადგანაც ისინი თითქმის შეჩვეულები იყვნენ მამულების უქონლობასა და ამისათვის მამულების უქონლობისა გამო მაინც ჩხუბს არ ასტეხდნენ და არც შურით შეხედავდნენ თავიანთს მეზობლებს. მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ დაჩაგრეს წინადვე ბედისგან დაჩაგრულებიცა, მაშასადამე უსამართლოდ გაუმიჯნეს მამულები და ვერც წინად საკმო მამულების პატრონები დააკმაყოფილეს ხეირიანად. ეხლა ყველა აქაური მამულების უქონლობასა სჩივის და თითქმის ყოველს კვირა-უქმეს მარტო მამულებზედა აქვთ ჩხუბი და დავიდარაბა აქაურს სასოფლო სასამართლო-კანცელარიაში, მაშ სად წავიდა იმოდენა სოფლის მამულები, რომლებიც წინად ზოგიერთს მაინც აკმაყოფილებდა და ეხლაც, ხეირიანად და მიუდგომლოდ რომ გაყოფილიყო, თითქმის ყველას დააკმაყოფილებდა? სად უნდა წასულიყო, მამულები ისევ აქვეა, მაგრამ იმათვის-კი არ მიუციათ, ვისაც ეკუთვნოდა. 90 დესეტინამდე მამული გაუზომავად დაუნარჩუნებიათ, ვითომდა სასოფლოდ და საერთოდ სახმარებლად. ეხლა ეს ვითომდა სასოფლოდ დარჩენილი მამულები მოხელეების განკარგულებაშია და ესენიც ალბად ან თვითონა ჰხმარობენ და ან მარტო იმათ აძლევენ, ვინც მათთვის სასიამოვნონი არიან. ამ ორიოდე დღეშიაც ერთმა აქაურმა ცოტად თუ ბევრად შეძლებულმა გლეხმა დ. მ—მა სასოფლოდ დარჩენილის მამულისა 6 დღიური მოხნა. ზოგჯერ ისიც მოხდება ხოლმე, რომ აქაური გაიტანს გუთანსა და იმ აზრით, რომ ვითომ ესადა-ეს მამული არავისა აქვს მიზომილიო, მოჰხნავს ამ მამულსა, მაგრამ ბოლოს გამოჩნდება, რომ მამული სხვასა ჰქონია მიზომილი. ამაზე არის ერთი საშინელი აყალ-მაყალი, ჩხუბი და დავიდარაბა. ბევრჯელ კეტების ტრიალიც მოხდება ხოლმე და მინამ არ გაშველდებიან, ვიდრე ერთმანეთს არ დაასახიჩრებენ ცემით. ბევრჯელ კიდევ ჯავრს ჩაიდებენ ერთმანეთისას და პირველსავე შეხვედრას ჩხუბსა და დავი-დარაბას გაჰმართავენ ხოლმე. კუთვნელების გაურკვევლობით გამოწვეულმა ჩხუბმა და დავი-დარაბამ ძალიან დააქვევითა ჩვენი საზოგადოება. თუ იმასაც ვიქონიებთ სახეში, რომ დიდი-თონეთის სხვა-და-სხვა ადგილის მამულებს ჰავისა და ადგილ-მდებარეობისა გამო სხვა-და-სხვა ნაირი და სხვა-და-სხვა დროს სჭირია შემუშავება, ადვილად წარმოვიდგენთ, როგორ გაუძნელდებოდათ გლეხებს ახალის ადგილების ხელის შეწყობა და რიგიანად შემუშავება. წინად ნაჭერი მამული თითქმის არავინ არ მიჰზომია. ყველასათვის სხვა-და-სხვა ადგილებში მიუციათ. ამბობენ, მზომავნი ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ სოფელს გვიანობამდე ვერ გაეგო იმ 90 დესიატინის სასოფლოდ დარჩენის ამბავიო, მაგრამ, როგორც შუბი ტომარაში ვერ დაიმალება, ისე ვერ დაიმალა მზომავებისა და მოხელეების ნამოქმედარიცა ხალხმა გაიგო მოქმედება ამ შემთხვევაში მოხელეებისა და დარჩა მათი უკმაყოფილო. მაისის ნახევარში, ჩვეულებისამებრ, გამართეს სასოფლოდ სამლვთო, აწირვინეს ადგილობრივს მღვდელს და წირვისა და პარაკლისის შემდეგ შემოუსხდნენ იქავე ეკკლესიის ეზოში გაშლილს საერთო სუფრას. გადაჰკრეს, კახური იყო თუ ქართლური, შეზარხოშდნენ და მოაგონდათ ძველებური დარდები და დავი-დარაბები, გამოძებნეს ხალხში ამრევ-დამრევნი და სიმშვიდის დამრღვეველნი და დაუსახიჩრებელი არ გაუშვეს: ზოგს კეტებით თავი გადაამტვრიეს და ზოგს მკლავები, მხრები და ბეჭები დაუჟეჟეს. არც სოფლის ერთ-ერთი მოხელე გადაურჩათ უცემელი, ისე სცემეს, რომ რამდენიმე კვირა ლოგინად იყო ჩავარდნილი. ნაცემს რომ როგორმე თავი ემართლა, სამაზრო ადმინისტრაციის წინაშე, ამოარჩიეს ერთი სრულიად უდანაშაულო კაცი დ. რ-ლი და მისცეს მთავრობას ხელში, ვითომდა ხალხის ამაბუნტებელი და ამაჯანყებელი ეს კაცი იყოვო.

დროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას იმან, ვისიც ჯერ არს, გაუნაწილოს საჩხუბრად დარჩენილი მამულებიცა უფრო მამულების სიცოტავით დაჩაგრულებს და ხარჯის მძლეველებს და მით მოუსპოს მთელს საზოგადოებას ერთმანეთში შური და მტრობა. თუ მამულების გამიჯნვის საქმეს გაასწორებენ, შური და მტრობა მეზობლებისა ერთმანეთში თავის თავად მოისპობა და ჩამოვარდება სიმშვიდე, რომელსაც უსათუოდ მოჰყვება ხალხის კეთილდღეობაცა.

ლ. მ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვინ არ იცის, რომ ამ ჟამად ებრაელები დიდად შევიწროებულნი არიან რუსეთში და იძულებულნი გამხდარან გადაესახლნენ სადმე, რომ თავისუფლად ამოისუნთქონ და ამ შევიწროებას ასცდნენ როგორმე. რუსეთში შევიწროებულნი ებრაელნი საზღვარ-გარედ მიეშურებიან, განსაკუთრებით-კი ლონდონში, მით უმეტეს, რომ ინგლისელებს არაფრად მოსწონთ რუსეთის მიერ ებრაელების შევიწროების ამბავი და ამ თავისს არმოწონებას არცა ჰფარავენ. ზოგიერთნი გადასახლებულნი ებრაელნი ინგლისიდგან ამერიკასა და აფრიკაში გადადიან, ზოგნი-კი იქვე ჰშოულობენ ლუკმა-პურს და იქიდგან ფეხს აღარ იცვლიან. ამ ბოლოს დროს, რუსეთიდგან გადასახლებულ ებრაელთა რიცხვმა ინგლისში ძალიან რომ იმატა, ინგლისელების დრტვინვა და ჩივილი გაისმა. ეს გარემოება ზოგს რუსულს ჟურნალ-გაზეთებს ძალიან ესიამოვნა და არა ერთხელ უგიჟინეს სიამოვნებით ინგლისელებს, ეგა ხართ, აიო, ებრაელთა ჩვენში შევიწროება არ მოგწონთ, იმათ უბედურებას თანაუგრძნობთ, და თქვენ-კი არ გინდათ ეს უბედურნი შეივრდომოთო, სხვის თმში ბრძნობა გსურთო. ეს ინგლისელების დრტვინვა პირველში ბევრს ეოცა, ვიდრე საგანი არ გამოირკვეოდა. აი ეხლაც გაზ. „Недѣля“-ში ამ ფრიად საყურადღებო საგნის გამომრკვეველი წერილია ლონდონიდგან დაბეჭდილი. წერილის ავტორი ამბობს, რომ რუსეთიდგან ლონდონში მოსული ებრაელები სწორედ შესაბრალისს მდგომარეობაში არიან, არც ერთმა მათგანმა არ იცის ინგლისური ენა, სულს აქეთ არა გააჩნიათ-რა, ზედ არა აცვიათ-რა და თავისის ძონძებით უნებურად იქცევენ ყველას ყურადღებასაო. შემდეგ სწერს, რომ

> ინგლისელს ებრაელის საწინააღმდეგო და სამტრო არა აქვს-რა, მხოლოდ სამუშაო ფასის დაკლება არა-

---

## ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო

(იხ. „ივერია“, № 121)

V

თუ ასეთია საზოგადო ვითარება ეხლანდელის ჩვენის დროებისა, თუ ისეა შეხუთული და მოხრჩობილი დღევანდელი ჰაერი, რომ მისი ლული და მძიმე სუნი სწამლავს, სჩაგრავს და აწბილებს მამა-კაცებს, იგი ვითარება და ჰაერი დედაკაცებს უფრო სულს უხუთავს; ახალი დროება დედაკაცების შესახებ უფრო მეტის შეუბრალებლობითა და გულ-ქვაობით მოქმედებს.

ყმაწვილ-კაცობა, ასეა თუ ისე, მცირე სარკმელს მაინც ჰპოულობს და ამ სარკმლის შემწეობით სცდილობს, მართალია, უწეს-ურიგოდ, მაგრამ მედგრად-კი, იხილოს როგორმე ნათელი ქვეყნიერობისა და შეიძინოს ადამიანობა. სოფლის უსაქმურობისაგან თავ-დახსნის სურვილით გატაცებული, იგი ყმაწვილ-კაცობა გაურბის სოფელს და ანებებს თავს შეჩვეულს კერას. მე აქ სახეში არა მყავს, რასაკვირველია, ისინი, რომელნიც მირბიან სოფლიდამ და სტოვებენ მამა-პაპათა სახლს მხოლოდ იმიტომ, რომ დასახლდნენ სასტუმროებში და იქ განუწყვეტელს ლოთობასა და დარდიმანდულს ქეიფში ატარონ დროება. სახეში მყავს უფრო ის მიმზიდველნი და სრულის თანაგრძნობის ღირსნი ყმაწვილნი კაცნი, რომელთაც აზრად აქვთ შუათანა და მაღალი განათლება შეიძინონ და ქალაქ ადვილად მოაწყონ თავისი ცხოვრება ისე, როგორც ახალ დროების ვითარებას შეეფერება. ასეთი მოშორება სოფლისა ცოტა არ იყოს ჰგავს იმისთანა ხელობის კაცთა მოშორებას, რომელნიც თავიანთ სოფელში რომ ვერა ჰპოულობენ შესაფერს საქმეს, სხვაგან მიდიან და იქ ეძებენ სამუშაოს. ასეთი მოშორება სოფლისა დიდი შეღავათია იმ თავად-აზნაურთა ოჯახთათვის, რომელსაც ამ სახით თავს ანებებენ უსაქმურნი და მოცლილნი და თავიანთ ძალღონეს ახმარებენ სხვა გვარ სასარგებლო შრომასა და საზოგადოების სამსახურსა.

ეხლანდელის დედაკაცის მდგომარეობა-კი დიდად სამწუხაროა და უნუგეშო: იმისთვის თითქმის არც ერთი გზა ცხოვრებისა ხსნილი არ არის. სახლში, რაკი უფროს ერთს ოჯახს თავად-აზნაურობისას საკუთარი მეურნეობა არა აქვს, დედაკაცს არავითარი ისეთი საქმე არ მოეპოვება, როგორიც ოდესმე მოეპოვებოდა, თუ, რასაკვირველია, საქმედ არ ჩავსთვლით სამზარეულოში ფუსფუსსა და ოჯახის სისუფთავისათვის ზრუნვასა. რაიცა შეეხება იმ საბრძანებელსა, რომელიც თითქო თვით ბუნებას დაუწესებია დედაკაცის განკერძოებულ საკუთრებად, ესე იგი შვილების აღზრდის საქმეს, უნდა ვსთქვათ, რომ აქაც დედაკაცი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ჩვენს დროში ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თითქო თანდათან უფრო ძლიერ ცდილობს მოაშოროს დედა თავის შვილებს და, ცოტად თუ ბევრად, უცხო, ნაკლებად სასარგებლო ადამიანად გადააქციოს მათთვის. ვიცი მკითხველს გაუკვირდება და იტყვის გულში, ამას რას ამტკიცებს ეს კაციო, მაგრამ ერთს წუთს ჩაუფიქრდეს უფრო ღრმად საქმის გარემოებას და მაშინვე დარწმუნდება, რომ მართალს ვამბობ.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ვითომ ეხლანდელს დედაკაცს ხალისი და სურვილი არა აქვს, თავის შვილების აღზრდასა ცდილობდეს მეთქი. ამისთანა საქმის კეთება ხომ დაბადებითვე თან-დაყოლილი გრძნობა და უნარია, თვით ბუნებისგანვე დედაკაცის გულში ჩანერგილი და სტიქიონის ძალისამებრ აჩემებითა და ახირებით მომქმედი. ჩემი აზრი მხოლოდ ის არის, რომ ეხლანდელს ქართველს დედაკაცს, სამწუხაროდ, არ შეუძლიან დღევანდელ ვითარებისა და წეს-წყობილების გამო, აჰყვეს ამ თავისს ბუნებურს სურვილს და აი, ჩემის აზრით, სწორედ ეს არის მისი მეტად და მეტად დიდი უბედურება.

საქმე იმაშია, რომ ყოველი დრო, რომელსაც თავისი საკუთარი სადარდელი და სანაღვლელი აქვს, ცდილობს აღზრდასაც ამ სადარდელისა და სანაღვლელის შესაფერი მოვალეობა მოახვიოს კისერზე. ზემოდ, როცა ლაპარაკი გვქონდა ბატონ-ყმობის დროინდელ ქართველ დედაკაცის შესახებ, ჩვენა ვსთქვით, რომ მაშინდელი დედაკაცი ახერხებდა [illegible]ვის შვილების აღზრდასაო, ახლა-კი ვამბობთ, რომ ეხლანდელს დედაკაცს, იქნება გულითაც უნდოდეს აღზრდა შვილებისა, მაგრამ არ შეუძლიანო. ამისი თქმა იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ ვითომ ბატონ-ყმობის დროინდელი ქართველი დედაკაცი მაღლა იდგა ეხლანდელზე ან გონებითა და ან კულტურულის წარმატებითა. არა, ეხლანდელი დედაკაცები, მეტადრე უკეთესნი მათ შორის, რომელთა რიცხვი, საბედნიეროდ, თან-

ფრად მოსწონსო. რუსეთის ებრაელს ინგლისელ მუშასთან შედარებით მოთხოვნილება მცირე აქვს და ამიტომ შრომისათვის ცოტა სასყიდლით კმაყოფილდება. ეს ერთი. მეორე, მუშათა სიმრავლეც ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ სამუშაო ფასმა იკლოს. მიზეზი კიდეც ეს არის, რომ ინგლისელებს არ ესიამოვნებათ ებრაელთა გადმოსახლება. აქაურნი დაწესებულებანი, რომელთაც მინდობილი აქვთ საემიგრაციო მოძრაობის გამოკვლევა, საოცარს ამბებს იუწყებიან. მაგალითებრ, Board of Frade (ვაჭრობისა და მრეწველობის საბჭო) იუწყება, რომ მარტო წმ. გიორგის ქუჩაში 20,000-მდე ებრაელი თურმის და ამათში მხოლოდ 5,000 აქ დაბადებული, დანარჩენნი რუსეთიდგან გადმოსახლებულნიო. ლონდონის 23,000 ხარაზს შორის 4,000 სხვა ქვეყნელი ებრაელია თურმე. ყველა ესენი მეტად იაფ ფასად იღებენ საქმეს და თავ-გამოდებით ჰმუშაობენ, არც დღე გასჩნიათ, არც ღამე, არც მოსვენება და არც ძილი... საკვირველიც არ არის, თუ ინგლისელი ალმაცერად უცქერის ასეთს მეტოქეს. ებრაელთა აქ გადმოხიზნვამ რომ არ იკლოს, მაშინ ხომ ინგლისელი მუშები სრულიად უნდა გამოეთხოვნენ დაკანონებულს რვა საათის მუშაობას, სამრეწველო ჰიგიენას, კლუბებსა და ყველა იმ სიკეთეს, რომელსაც ელტვის დასავლეთის მუშა-კაცი და რომელიც მცირეოდნადაც არის უკვე მოპოვებული აქვს. აი, ამ მიზეზით გაისმის ამ ჟამად დრტვინვა და ჩივილი, ნუ გადმოსახლდებიანო. სჩივიან და დრტვინავენ, ებრაელთა წინააღმდეგ-კი არა, არამედ ღარიბ და ხელ-მოკლე გადმოსახლებულთა წინააღმდეგ, სულ ერთია, რომელს ტომსაც უნდა ეკუთვნოდნენ.

ყველაზედ უფრო მეტად ებრაელთა ინგლისში გადასახლების წინააღმდეგ ჰღაღადებს გაზ. „The Evening News and post"-ი. ეს გაზეთი იმ აზრისაა, რომ კანონი უნდა გამოიცეს და გადმოსახლების მსურველთ იმითი უნდა შეეკრათ გზაო. აი ისიც-კი რა თვალით უყურებს ებრაელთა გადასახლების საქმეს თავისს ერთს უკანასკნელს ნომერთაგანში:

ჩვენ მულებით სრულიად არა გვმულს არც ჩვენი ებრაელნი და არც სხვა ქვეყნელნი. ეს ერთი და ერთი ახსოვდეთ და ნუღარ გაგვამეორებინებენ. ამასთანავე იმ აზრისანი ვართ, რომ დროა შესწყდეს ეს გადმოსახლება ებრაელთა, თვით ებრაელებისავე სასარგებლოდ. წინააღმდეგს შემთხვევაში, იმას მოვესწრებით, რომ ჩვენშიაც დაიბადება ებრაელთა მოძულება. პირველში თუ ებრაელს მუშასა და მუშაობის მეტოქეს მოიძულებენ, შემდეგ მთელს იმათს ერს გადაეკიდებიან მტრად და იმათს სარწმუნოებასაც-კი დევნას დაუწყებენ. ამას ვერ ავიცილებთ თავიდგან, თუ გადმოსახლებულთა რიცხვმა არ იკლო. ჩვენი მოვალეობაა და უნდა ვიზრუნოთ კიდეც, რომ კარგად მოეწყვნენ და განათლდნენ უკვე ჩვენს მიწა-წყალზედ მყოფი ებრაელები, ძმობა უნდა გავუწიოთ ამ გადმოსახლებულებს, მაგრამ ამიერიდგან-კი აღარავის არ უნდა მივცეთ გადმოსახლების ნება.

აი ეს არის ჭეშმარიტი მიზეზი ინგლისელების დრტვინვა-ჩივილისა, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც-კი სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ საბრალო ებრაელთა წანწალი და ხეტიალი. თავის სამშობლოდგან განძევებულს ებრაელს თავ-შესაფარებელი ბინა ვერსად უპოვნია და უნუგეშოდ ხან ერთს ქვეყანას აწყდება და ხან მეორეს, რომ იქიდგანაც გამოაბრუნონ და ახლა კიდევ სხვაგან ეძებოს დასაბინავებელი ადგილი...

**

გერმანიაში ამ ჟამად დიდი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დიფამაციისა და ცილის-წამებისათვის, რედაქტორთან ერთად, კორექტორიც სამართალში უნდა იქმნას მიცემული, რადგან ისიც კითხულობს ზემოხსენებულს წერილს ადრევე. ამ აზრს თავისი მომხრენიცა ჰყავს და მოწინააღმდეგენიც. მაგალითებრ, ამას წინად ფრიად საყურადღებო წერილით მიჰმართა ამ საგნის გამოსარკვევად გაზ „Fr. Ztg."-ს პროფესორმა კარლ ფოგტმა. აი ეს წერილი:

რადგან თქვენის გაზეთის უკანასკნელ ნომრიდგან დავრწმუნდით, რომ ჯერ კიდევ არ გათავებულა კამათი იმის შესახებ, კორექტორმა იცის თუ არა დასაბეჭდ წერილის შინაარსიო, ერთს შემთხვევას მოგითხრობთ ჩემის ცხოვრებიდგან, რომელიც ამ საგანს ცოტაოდნად გამოარკვევს და ნათელის შუქს მოჰფენს. როცა მე და დეზორე აგასიცთან ვმუშაობდით ნეიენბურგში, ჩემს მეგობარს დეზორეს აგასიცის შენიშვნების თანახმად უნდა აღეწერა მიწაში ნაპოვნი თევზნი, ზემოხსენებულ მეცნიერის მიერ გამოკვლეულნი. დეზორე თავისს აღწერას უკარნახებდა ყმაწვილს კაცს ჩარლზს, რომელიც დაბეჯითებით გაიძახოდა, რომ თქვენი ნაკარნახები მშვენივრად მესმისო. თუმცა დეზორე არ ერწმუნებოდა და იმასაც-კი სთხოვდა, რომ, პირ-იქით, თქვენ მანქანასავით უნდა სწერდეთ, უგრძნობელ კალმად უნდა გადაიქცეთო. ამ კამათის გადასაწყვეტად დეზორემ, ჩემ იქ ყოფნის დროს, გადასწყვიტა, რომ აშკარა უაზრობა უნდა ვუთხრაო, და თავისს აღწერაში შემდეგი სიტყვაც უკარნახა: „ეს თევზი სხვა დანარჩენთაგან იმითი განირჩევა, რომ თავი იქ აბია, სადაც სხვებს კუდი აქვს გამობმულიო". მისტერ ჩარლზმა დასწერა ეს წინადადება ისე, რომ იმისს უაზრობას არ მიმხვდარა. დეზორე წავიდა, დაავიწყდა კიდევ თავისი ხუმრობა და ხელ-ნაწერი სტამბაში გაგზავნეს. კორექტურა წაიკითხეს: დეზორემ, კორექტორმა, დოქტორმა გ. მე, და, დასასრულ, აგასიცმაც, რომელმაც ხელიც მოაწერა. კორექტურასვე კითხულობდა მისტერ ჩარლზიც, მაგრამ არ ვიცი, ის ფურცელიც წაიკითხა, თუ არა. ჩვენ ოთხივეს-კი შეუმჩნევლად გაგვეპარა, ეს უაზრო წინადადება ვერავინ შევნიშნეთ. ის ფურცელი იმ სახითვე დაიბეჭდა და დეზორეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა თავისი ხუმრობა, როცა წიგნი დაიბეჭდა და გასაგზავნად იყო მომზადებული. იძულებულნი ვიყავით ის ადგილი ხელახლად გადაგვებეჭდა. აქედგან დასკვნა აშკარაა. ოთხმა კორექტორმა გაასწორა ნაწერი, მაგრამ წაკითხული ვერც ერთმა ვერ გაიგო.

ვისაც გამოუცდია, დაეთანხმება, რომ ფოგტი ჭეშმარიტებასა ბრძანებს და რომ კორექტორი ძნელად მიხვდება ხოლმე იმისს აზრს, რასაც თითონ კითხულობს და ასწორებს. ხშირად ისიც-კი მოხდება ხოლმე, რომ კორექტორი, მაგალითებრ, მთელს გაზეთს კითხულობს და შესანიშნავის წერილების სათაურიც-კი ავიწყდება მეორე დღეს...

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** 4 ივნისს ავსტრიის რეიხსტაგის კრებაზე პირველად სიტყვა მლადოჩეხების მეთაურმა გრეგრმა წარმოსთქვა და ჩეხების საპოლიტიკო პროგრამაზე ილაპარაკა. გრეგრმა იქიდამ დაიწყო სიტყვა, რომ, თუმცა რეისტაგმა, მთავრობის სურვილისამებრ, გარდასწყვიტა, ნუ ვილაპარაკებთ სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის შესახებო, და თუმცა მთავრობამ სეფე სიტყვით ითხოვა, ნუ შეეხებით საეროვნებო, საპოლიტიკო და ერთა უფლების საგანსაო, მაგრამ მე მსურს შემთხვევით ვისარგებლო და შევეხო ამ აღკრძალულს საგანს, რადგან უმთავრესად იგი აღელვებს სხვა-და-სხვა ერს სახელმწიფოსას და კერძოდ ჩეხებსაც. ამ საგანმა ცვლილებაც მოახდინა რეიხსტაგში—დაირღვა და მოისპო მთავრობის პირველი საიმედო დასი, რომლის უდიდესი ნაკლი და შეცდომა ის იყო, რომ განუსაზღვრელად იყო მინდობილი მთავრობაზე და მთავრობა-კი 12 წლის განმავლობაში მხოლოდ იმედებს და ისიც ძლიერ უბრალო, მცირე იმედებს აძლევდა და სხვას არაფერს. ბოლოს, როდესაც ჩეხნი დარწმუნდნენ ამ დასის უმაქნისობაზე, როცა შეიგნეს, რომ მათი ჭეშმარიტი და სამართლიანი თხოვნა და საჭიროებანი უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული ამ დასს და იმ ჩეხ-გერმანელთა მორიგების ძალით ხალხს მოსისხლე მტერსაც უგდებდა ხელში,—რაკი ეს ყველაფერი კარგად გაიგეს, აიღეს და მოსპეს ეს დასი, რომელიც თავს არ ანებებდა თავისს მავნე პოლიტიკას. მინდობითაც ამ დასის მაგიერ ჩეხები მლადოჩეხების დასს მიენდვნენ და მხარი იმას მისცეს. რადგანაც ასე ერთხმად იბრუნა პირი საზოგადო აზრმა მლადოჩეხების დასისკენ, იგი დასი ამის გამო თავისს თავს ჩეხების სურვილისა და აზრის გამომხატველ და გამომთქმელ დასადა ჰრაცხს. ამიტომაც მე მოვალე ვარო, სთქვა ორატორმა, მლადოჩეხების საპოლიტიკო პროგრამა ვაუწყო რეიხსტაგსაო. მლადოჩეხების დასი ეროვნული დასია, მოწინააღმდეგე იმისი, რომ ერთმა ერმა მეორე დაამციროს და შეაწუხოს. რაკი ერთხელვე გადასწყვიტა მთავრობამ, ავსტრია გერმანელთა სახელმწიფო უნდა შეიქმნასო, ამითი განხეთქილება და უკმაყოფილება ჩამოაგდო ერთა შორის. ამიტომ ჩვენს დასსა სძულს გერმანელთა დასი, რომელიც მხოლოდ თავისს ბატონობაზე-ღა ფიქრობს. მლადოჩეხების დასი წინააღმდეგია ამისი და, ვიდრე გერმანელთა დასი არ უარ-ჰყოს თავისს სხვა და სხვა ერთათვის მავნე და დამამცირებელს აზრს, მანამდე არ შევურიგდებით. ამბობენ, გერმანელთა დასს განზრახვა აქვს, ისევ მთავრობას მიემხროსო, მაგრამ ეს ის გამოვა, რომ სახელმწიფოს სხვა არა-გერმანელნი ერნი პირდაპირ საჭიდაოდ გამოითხოვოს. ავსტრია წინააღმდეგია, რომ ერთმა რომელმამე ერმა იბატონოს სხვა ერთა შორის. ავსტრია თხოულობს ყველა ერთა თანასწორობას და მათ უფლებათა თანაბრობას. ამას გარდა ჩეხები თხოულობენ თვითმართველობას, ავტონომიას თავისის ქვეყნისთვის და საბუთად ამისა თავისი სახელმწიფო უფლება აქვთ და ეს უფლება მიაჩნიათ იურიდიულ ნადაგად, რომელზედაც უნდა დამყარდეს მათი დამოკიდებულობა ტახტისადმი. აწინდელი და შემდეგი წარმომადგენელნიც ჩეხებისა ყოველთვის ეცდებიან ამ უფლების დაცვასაო. შემდეგ ორატორმა სთქვა, რომ მლადოჩეხების დასი პროგრესიული დასია და იმის პროგრამაში უმთავრესი საგანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სამოქალაქო თავისუფლების წარმატებაო. სამოქალაქო თავისუფლებაზედაც ჩვენი დასი სულ სხვა აზრისაა, ვიდრე გერმანელ-ლიბერალთა დასიო. თუმცა იმ დასსაც თავისს დროშაზე თავისუფლება უწერია, მაგრამ საქმით-კი იმან უფრო მეტი ავნო ავსტრიის სამოქალაქო თავისუფლებას, ვიდრე სხვა რომელმამე დასმა. ამის დასამტკიცებლად მიგითითებთ მის მიერ შემოღებულს აწინ-

---

და თან უფრო მატულობს, ბევრად უფრო უკეთ არიან მომზადებულნი, ბევრად უფრო გონება-წარმატებულნი და განათლებულნი არიან წინანდელებზე. მაგრამ ბოლოს მაინც ისე გამოდის, რომ აღზრდის საქმეში ეხლანდელი დედაკაცი თავისს დედასა და დიდი-დედას ვერ შეედრება.

ძალიან ადვილი გასაგებია ეს გარემოება. ვსთქვათ, ბატონო, რომ მამა-თქვენს, ანუ პაპა-თქვენს მოუნდა რიგიანის სახლის აშენება, ისეთის სახლისა, რომელიც შეეფერებოდეს, როგორც იმის დროების ხუროთ-მოძღვრებისა და საზოგადოების მოთხოვნილებას, ისე იმის მოსადგევართა ზნე-ჩვეულება-გემოვნებასა. ვიანგარიშოთ რომ, ვარაუდით, ასეთის შუათანა ღირსების სახლის აშენება დაჯდებოდა იმ დროს ასე 600—700 მან., თუნდ ვსთქვათ 1000 მან. ხოლო ვსთქვათ ისიცა, რომ ამ ფულიდამ თქვენს წინაპარს აქვს მხოლოდ, მაგალითად, ესე 800 მან.

ახლა იფიქრეთ, რომ თქვენც, ეხლანდელო კაცო, მოისურვეთ აშენება სახლისა. თუ გინდათ, რომ თქვენი სახლიც ისეთი რიგიანი იყოს და ისე შესაფერი თქვენის დროებისა და მის ვითარებისა, როგორიც უნდა ყოფილიყო მამა-თქვენისა და პაპა-თქვენისა იმათ დროებისა გვარად, არას გზით 2000 მანეთზე ნაკლებ აღარ დაგეხარჯებათ, თორემ შესაძლოა ამაზე მეტიც დაგეხარჯოთ. ვსთქვათ ახლა რომ ამ ფულიდამ, როგორც იყო, დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით, იშოვეთ მხოლოდ 1200 მან.

ახლა მიბრძანეთ, რომლის ყოფა სჯობიან, თქვენი თუ თქვენის წინაპარისა და რომელს თქვენგანს უფრო უმალ შეუძლიან შეისრულოს თავისი წადილი, თქვენა თუ იმას? ურომელოდ, შეუდარებლივ რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, თქვენ უფრო მდიდარი ხართ, რადგან ჯიბეში 1200 მან. გიდევთ, მაშინ როდესაც თქვენს წინაპარს მძიმედ ელაგა სკივრში მხოლოდ 800 მან., ესე იგი ერთის მესამედით ნაკლები თქვენს ფულზედა. ხომ ასეა, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ თქვენი წინაპარი, იქნება დიდად-კი გასჭირებოდა, გარნა მაინც მოახერხებდა თავის დროების შესაფერ „სასახლის" აშენებას. ხოლო თქვენ, საფიქრებელია, რომ არა თუ განზრახულს სახლს ვერ ააშენებთ, არამედ შესაძლოა, ვერც-კი გაჰბედოთ, ხელი მიჰყოთ სახლის აშენებას. რათაო? რათაო და აი ამათაო: თქვენს წინაპარს ასი თუმანი უნდა ჰქონდეს, მაშასადამე აკლია მხოლოდ 200 მან. თქვენ-კი უნდა გქონდეთ ორასი თუმანი და გაკლიათ 800 მან. სხვა სიტყვებით რომ გამოვსთქვათ ეს აზრი, ასე გამოვა: თუმცა თქვენ უფრო ბევრი ფული გაქვთ ხელში, მაინც თქვენთვის ოთხჯერ უფრო ძნელია სახლის აშენება, ვიდრე თქვენის მამა-პაპისათვის; ოთხჯერ უფრო ძნელია იმიტომ, რომ რაც თქვენ ფული გაკლიათ ოთხჯერ მეტია იმ ფულზე, რომელიც თქვენს მამა-პაპას დააკლდებოდა.

ასეთი ერთმანეთობა სუფევს, ცოტად თუ ბევრად, ახალთაობის აღზრდის საქმეშიც ეხლანდელ ქართველ დედაკაცსა და ბატონ-ყმობის დროინდელს დედაკაცს შორის. დედაკაცი ეხლა, რასაკვირველია, გაშორებით უფრო მდიდარია, ესე იგი, გაშორებით უფრო განათლებულია და წარმატებული, მაგრამ მისი სიმდიდრე არც იმდენად დიდია, რომ შეეძლოს გაძლოლა ყველა საჭირო ხარჯისა, რომელსაც-კი თხოულობს ახალი დრო და ეხლანდელი მოწყობილობა აღზრდის საქმისა. ეხლანდელმა დედაკაცმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს თავის ხასიათის შემუშავებისა და გონების წარმატებისათვის, ვიდრე ტოლი და სწორი გაუხდება თავისს წინანდელს მოადგილეს. მათი გათანასწორება, მათი ერთს ვითარებაში ყოფნა მაშინ იქმნება შესაძლებელი, როცა ზემოხსენებულის მაგალითის მიხედვით, წინანდელის დროების 800 მან. შეეწონება 1200 მან. კი არა, რადგან 1200 მან. ძალიან მცირეა და არა კმარა, არამედ 1800 მანათს. ხოლო ესეც საკმაო არ არის. ვისაც ქვეყნის წარმატება სურს და გული შესტკივა თავის სამშობლოსათვის, მარტო იმას-კი არ უნდა იყოს მოწადინებული, რომ შემდეგი თაობა შეძლებითა და ღონით წინანდელს გაუტოლდეს, არამედ იმას უნდა იყოს მოწადინებული, რომ პატარაზე მაინც წინ გაუსწროს და უფრო შესამჩნევი წარმატება შეიძინოს. ხოლო ამისათვის, ცხადია, 1800 მანათი საკმაო არ არის. საჭიროა უფრო მეტი, თუნდ 2000 მანათი მაინც, ესე იგი იმდენი, რამდენიც მოუნდება ჩვენს დროში პატარა რიგიანის სახლის აშენებას.

და აი მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნეტარი და სასურველი დრო დადგება, როცა ჩვენს ხელში იქნება არა 1200 მან., არამედ მთლად 2000 მან., ნება მოგვეცემა ვსთქვათ, რომ წინ წავედით და ვაჯობეთ ჩვენს მამებსაო. მანამდე-კი სულ იმის ცდაში უნდა ვიყვნეთ, რომ მამებს დავეწიოთ. და, რასაკვირველია, ჩვენს ფეხ-მარდობაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მალე და სწრაფად გავლევთ იმ მანძილს, რომელიც ჩვენსა და ჩვენს მამებს შორისა სძევს.

გ. მაიაშვილი

(შემდეგი იქნება)

დელს საარჩევანო წესზედ, რომელმაც სრულიად დაუკარგა ძალა პარლამენტსა, არავითარი ავტორიტეტი აღარ შეარჩინა და მთავრობის სათამაშოდ გადააქცია. მლადოჩეხების დასის აზრით, თავისუფლება ერთის რომელისამე დასის ან ერის უპირატესობა და საკუთრება-კი არ არის და არ უნდა იყოს, არამედ ღონისძიებაა ყველასი, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა, მათის სულიერის და ნივთიერის წარმატებისათვის. დასასრულ ორატორმა ილაპარაკა იმ ღონის-ძიებაზედაც, რომელსაც ხმარობენ რეიხსტაგში ჩეხების დასის განზე დასატოვებლად. ამბობენო, რომ მლადო-ჩეხების დასი მავნებელია სახელმწიფოსთვისაო, უკიდურესის აზრების მიმდევარი და მქადაგებელიაო. მაგრამ ეს უკიდურესი აზრები, რომელიც მხოლოდ უფლებათა თანასწორობას ითხოვს ჩეხებისათვის, კონსტიტუციაშიც არის მოხსენებული, მთავრობის მოხსენებაშიც და უკანასკნელს სეფე სიტყვაშიაც განიმეორესო.

გრეგრმა აღნიშნა, რომ გერმანელები სცდილობენ სლავიანთა გაგერმანელებას და მათზე ბატონობასაო და ურჩია პოლშელებს, ნუ მიემხრობით გერმანელების დასს, თორემ მაგითი საშიშოთ გაჰხდით თქვენს მომავალსაო. თუ ჩეხების წინააღმდეგ მიმართული ძალა შეიძლებს მათის მოქმედების შეჩერებას, იმას მაინც-კი ვერ მოახერხებს, რომ თავისუფალი სიტყვა მოსპოს, როგორც ვერ მოახერხებს თვით ჩეხების დედამიწის პირიდგან აღგვასა. მოხერხებით და შეძლებით მხოლოდ იმას მოახერხებენ და შეიძლებენ, რომ მეტი უკმაყოფილება აღძრან ჩეხებს შორის და ათქმევინონ, ავსტრია მტერია, მტყვევნელია სახელმწიფოს ერთაო.

## დეპეშა

18 ივნისს

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა დიდის მთავრების გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძეთა და დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ კვირას, 10 ივნისს, პეტერგოფიდგან ფინლიანდიისაკენ წაბრძანდნენ.

ოფიციალურად: მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს ჩიტას მიბრძანდა. ნერჩინსკიდამ გზა-გზა მისი უმაღლესობა ათვალიერებდა ურულგის ოქროს მადნებს მისის უდიდებულესობის კაბინეთისას. სადგურს „Князь-Берегового"-ზე მემკვიდრე ცესარევიჩმა საუზმე მიირთვა, რომელიც თავად განტიმუროვის ტუნგუსებმა გამართეს კარავში. სადგურს ტურინო-პოვოროტნოიში, სადაც ღამეც ათიეს, აგინსკის გამგეობის ბურიატები დიდის ამბით მიეგებნენ. მისს უმაღლესობასა და ამალას ეძინათ ბურიატების მიერ გამართულს კარავებში. დღეს, წასვლის წინად, დოღი იყო გამართული.

სახელმწიფო საბჭოს წევრს, სტატს სეკრეტარს „დეისტვიტელნი ტაინისოვეტნიკს" ფილოსოფოვს 50 წლის სამსახურის გულისთვის ებოძა 1-ს ხარისხის ორდენი წმ. ვლადიმირისა.

რომ ომისა და მგზავრობის დროს ჯარს შეეძლოს მსწრაფლად გარდასცეს ხოლმე განკარგულებანი და მოხსენებანი და რომ ჯარის საბანაკო და მისს უკანა ადგილებში გაიმართოს მსწრაფლი ფოსტა, ამიტომ უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, ქვეითა ჯარში შემოიღეთ ველოსიპედებიო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გარდასწყვიტა: მოისპოს კერძო განცხადებათა ბეჭდვა ვარშავის გაზეთს „Kurier Paronny"-ში სამის თვით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობები, რომ აზიის ოსმალეთსა და არაბებში ხოლერა გათავდაო. ამის გამო კვლავ ნება დართეს მლოცავებს ბილეთების აღებისა იერუსალიმსა და მეკკაში წასასვლელად.

ბრძანება პეტერბურგის უფროსისა: „შევნიშნე რა, რომ ებრაელნი, რომელნიც ხელოსნების სახელით სცხოვრობენ, ხშირად თავს ანებებენ თავიანთს ხელობას, მოდიან სხვაგან და მათი ოჯახები-კი კვლავ აქა სცხოვრობენ, რადგან საამქრო სიიდგან არ არიან ამოშლილნი, ვავალებ ბ-ნთ ბოქაულთ: 1) პეტერბურგიდგან წასულ ებრაელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სახელოსნო გამგეობას საამქრო სიიდგან მათს ამოსაშლელად და 2) ოჯახობანი იმ ებრაელთა, რომელნიც სიიდგან იქნებიან ამოშლილნი, გაგზავნონ ებრაელთა საბინადრო ადგილებში მიღებულის წესით.

**რომი.** მინისტრ-პრეზიდენტმა დე-რუდინიმ განაცხადა სენატში, რომ იტალიამ კვლავ განაახლა სამთა კავშირი გერმანიასა და ავსტრი-ვეგრიასთანაო. საგნად ამ ხელშეკრულობას მშვიდობიანობის დაცვა აქვსო. დე-რუდინის სიტყვას ტაშის კვრით მიეგებნენ.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმა გამოუცხადა გამბურგის სახომალდო საზოგადოების დირექტორს; რომ კვლავ შესდგა სამთა კავშირი ექვსის წლითაო.

19 ივნისი.

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს გარდაწყვეტილებანი სახელმწიფო საბჭოსი: 1) შესახებ იმისა, რომ კასპიის ფლოტი აღარ ექვემდებარებოდეს შავის ზღვის ფლოტის კომანდირს და 2) შესახებ უნორმოდ არაყის ხდასა, რაიცა ამ წლის 1 ივლისიდამ უნდა შემოიღონ.

ამ დღეებში კრონშტატში მოვა იახტა „Ересь"-ით პარიჟელი როტშილდი; წავა აგრეთვე მოსკოვშიც გამოფენის დასათვალიერებლად.

**კოპენჰაგენი.** დღეს დილით მოვიდა აქ საფრანგეთის ესკადრა. საფრანგეთის ელჩი ესკადრის აფიცერთა პატივ საცემლად დღეს სადილსა ჰმართავს, ხოლო ხვალ დანიის მემკვიდრე პრინცი აუდიენციაზე ინახულებს. მეფე შაბათს დაბრუნდება.

### პეტერბურგის ბირჟა, 18 ივნისი.

| | მყიდვე-ლისა. მან. კ. | გამყიდ-ველისა. მან. კ. | გაყიდუ-ლისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 ,, | 7 03 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 140 | 140½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 04 | 1, 06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | — ,, | 210¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . , . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის),

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

„ძმური სიტყვა"

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაუჯდება. (10—79—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე